

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგროსერვის ცენტრის“ მეფუტკრეობის განვითარების ხელშოწყობა“ ქვეპროგრამის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და სუბსიდიის გაცემის წესი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგროსერვის ცენტრის“ მეფუტკრეობის განვითარების ხელშოწყობა“ ქვეპროგრამის შესაბამისად რეგულირდება ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და სუბსიდიის გაცემის წესი;

2. ტერმინთა განმარტებები:

ა) „აგროსერვის – ცენტრი“ – აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირი „აგროსერვის ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“).

ბ) მონიტორინგის ჯგუფი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ფერმერთა/კოოპერატივის მიერ შემოსული განცხადებების შემსწავლელი ჯგუფი;

გ) კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით შექმნილი ჯგუფი;

დ) ბენეფიციართა შერჩევის კომისია - აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს არასამეწარმეო

იურიდიული პირი „აგროსერვის ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია (შემდგომში „კომისია“).

ე) სუბსიდია - მეფუტკრეობის განვითარების ხელშოწყობა“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული გადასახდელი თანხა, რომელიც ცენტრის მიერ აუნაზღაურდება ქვეპროგრამაში ჩართულ მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;

ვ) დაკვეთა - მეფუტკრეობის განვითარების ხელშოწყობის მიზნით აჭარის რეგიონში ფუტკრის ოჯახების შექმნა

ზ) დამკვეთი - აჭარის ა/რ მცხოვრები მეფუტკრე ფერმერები;

2.1 ქვეპროგრამა ხორციელდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

3. „მეფუტკრეობის განვითარების ხელშოწყობა“ ქვეპროგრამაში სარგებლობა შეუძლია იმ მეფუტკრე ფერმერებს/კოოპერატივებს

რომლებსაც ფუტკრის ოჯახების რაოდენობა გასულ წლებში დაავადებების გამო შეუმცირდათ;

4. განცხადებების მიღება იწარმოებს 2020 წლის 1 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით (დანართი N1 შესაბამისად);

5. განცხადებასთან ერთად ფერმერი/კოოპერატივი ვალდებულია წარმოადგინოს შესასყიდი ამანათ ნაყარის (მართვე) ინვოისი, მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირებისგან ან შესყიდვის დოკუმენტაცია;

6. მონიტორინგის ჯგუფი ვალდებულია:

6.1 ადგილზე გასვლით შეამოწმოს მეფუტკრე ფერმერის განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია წარუდგინოს კომისიას (დანართი N2 შესაბამისად);

6.2 შეადგინოს დათვალიერების აქტი;

6.3 გადაიღოს ფოტო მასალა;

6.4 დათვალოს ადგილზე არსებული სკები.

7. შესყიდული ამანათ ნაყარი (მართვე) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ერთი ოთხ ჩარჩოიანი სტანდარტული ამანათ ნაყარი (მართვე);

ბ) ფუტკარით დაფარული უნდა იყოს ოთხივე ჩარჩო (ერთ კილოგრამამდე ფუტკარი);

გ) ჩარჩოებზე უნდა იყოს ოთხ კილოგრამამდე საკვები (თაფლი);

დ) უნდა ჰყავდეს ახალგაზრდა დედა ფუტკარი არაუმეტეს ერთ წლისა;

ე) ოთხი ჩარჩოდან ორ ჩარჩოზე უნდა იყოს სხვადასხვა ასაკის ბარტყი (როგორც ღია ასევე გადაბეჭდილი);

ვ) დანარჩენ ორ ჩარჩოსაც უნდა ფარავდეს ფუტკარი;

ზ) ფუტკრის ოჯახები უნდა იყოს ჯანმრთელი;

თ) გადაცემის დროს ამანათ ნაყარებს (მართვე) უნდა ჩაუტარდეს ტკიპა ვარვატოზის საწინააღმდეგო მკურნალობა, სპეციალისტის მიერ რეკომენდირებული პრეპარატებით;


8. ამანათ ნაყარის (მართვე) შესყიდვა ფერმერმა/კოოპერატივმა უნდა განახორციელოს არაუგვიანეს 2020 წლის 30 მაისისა;

9. იმ შემთხვევაში თუ ფერმერის მიერ წარმოდგენილი მომწოდებელი არ აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილი მოთხოვნებს ფერმერის/კოოპერატივის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება;

10. ამანათ ნაყარის (მართვე) ყუთში განთავსებამდე აუცილებელია სკას, პაკეტს და ინვენტარს ჩაუტარდეს დეზინფექცია, სპეციალისტის რეკომენდაციის შესაბამისად;
11. ფუტკრის ოჯახების შესყიდვა უნდა განხორციელდეს იმ მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირებისგან, რომლებიც მუშაობენ ამ მიმართულებით;
12. ცენტრის მიერ დაქირავებული სპეციალისტის მიერ მოხდება საფუტკრეების შერჩევა მონიტორინგი (დანართი N3 და N4 შესაბამისად);
13. მეფუტკრეობის განვითარების ხელშოწყობა” ქვეპროგრამით განსაზღვრულია ამანათ ნაყარის (მართვე) შესყიდვა.
14. ქვეპროგრამაში ჩართვა შეუძლია იმ მეფუტკრე ფერმერებს რომლებსაც საკუთრებაში/სარგებლობაში გააჩნიათ არანაკლებ 20 (ოცი) ერთეული ფუტკარის სკა.
15. ქვეპროგრამაში ჩართვა შეუძლიათ მეფუტკრეობით დაკავებულ კოოპერატივებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოში 2019 წლის 31 დეკემბრამდე;
16. ქვეპროგრამაში ჩართვა შეუძლია იმ მეფუტკრე ფერმერებს/კოოპერატივებს, რომელთა საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ფუტკრის ოჯახებიდან სხვადასხვა დაავადებების გამო განიცადეს 50% დანაკლისი.
17. კომისიის მიერ შერჩეული მეფუტკრე ფერმერები მიიღებენ არანაკლებ 5 და არაუმეტეს 30 ფუტკრის ოჯახის სუბსიდიას კოოპერატივის შემთხვევაში არაუმეტეს 50 ფუტკრის ოჯახის სუბსიდიას.
18. ცენტრი 1 ამანათ ნაყარის (მართვე) შეძენაზე სუბსიდიის სახით გასცემს არაუმეტეს 80 ლარს.
19. იმ შემთხვევაში თუ ერთი ამანათ ნაყარი (მართვე) ღირებულება აღემატება 80 ლარს, ზედმეტობა გადასახდელი იქნება ფერმერის/კოოპერატივის მიერ;
20. კომისიის მიერ შერჩეული ფერმერები ვალდებულია გაიაროს აგროსერვის ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი. იმ შემთხვევაში თუ ფერმერი ვერ მიიღებს მინიმალურ შეფასებას პროგრამაში ვერ ჩაერთვება;

21. აღნიშნული წესის 20 პუნქტი არ ვრცელდება იმ ფერმერებზე, ვისაც პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვს აგროსერვის ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი და მიღებული აქვს მინიმალური შეფასება.
22. ფერმერი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამანათ ნაყარის (მართვე) ტრანსპორტირება განთავსების ადგილამდე;
23. ფერმერი ვალდებულია მოახდინოს ამანათ ნაყარის (მართვის) გადაყვანა შესაბამისი ჰაერაციით (ფუტკრის მოხუთვის თავიდან აცილების მიზნით), საჭაერო სარქველი ნაწილობრივ უნდა იყოს ღია მდგომარეობაში;
24. ფერმერის მიერ მიღებული ამანათ ნაყარი (მართვე) განთავსების შემდეგ, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ ხორციელდება მონიტორინგი, დგება შესაბამისი აქტი ფოტოსურათებთან ერთად, რაზეც ინფორმაცია წარედგინება აგროსერვის ცენტრის დირექტორს სუბსიდიის გაცემის თაობაზე (დანართი N5 შესაბამისად) ;
25. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახური ამოწმებს კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რის შემდგომაც ინფორმაციას წარუდგენს დირექტორს შესაბამისი სუბსიდიის ანაზღაურების გაცემის მიზნით;
26. ქვეპროგრამის ხელმძღვანელის მიერ კვარტალის (წლის) განმავლობაში სრული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ წარედგინება ცენტრის დირექტორს;

მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების პროექტი



დასრულებულია

მონიტორინგის დასრულება

დასრულებულია მონიტორინგის ანგარიშების და რეკომენდაციების განხორციელება

მონიტორინგის ანგარიშების განხორციელება

დასრულებულია მონიტორინგის ანგარიშების განხორციელება

დასრულებულია მონიტორინგის ანგარიშების განხორციელება